

# ქრისტიანული

# აღსვლა!

ზ ა ს ი  
ორი შაური

[1912 წ.]  
პუბლიკაციის  
პ. ნ.

„კოლხიდის“

ყოფილი რედაქციის თხოვნით ეს გამოცემა ურიგდება ვაზ. „კოლხიდის“ ხელის მომწერლებს

№ 1.

ალმანახი „ბუნავსული“

№ 1.

11607

## დ ღ ი უ რ ი.

ქალაქმა წყალხადენის საქმე კანცელსა და დადიანს გადასცა.

ცამეტი რიცხვი (13 მარტი) საბედისწერო შეიქნა ქუთაისის ქართული გაზეთებისათვის — ორივე დააჯარიმეს 500-500 მანეთით. დროებით არც ერთი არ გამოდის. რედაქტორები ციხეშია.

სათანადო მთავრობისაგან ქუთაისში ქართული გაზეთის გამოცემის ნებას თხოულობენ დ. მესხი და ჭელიძე. დ. მესხი — „სრომისას“, ჭელიძე „იმერეთისას“.

წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის უფროსი ქალი თფილისს გაემგზავრა.

წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის ინსპექტორმა კ. ლოლობერიძემ თავი ჩამოიხჩია.

წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში სამოსწ. მზრუნველის წარმომადგენელი გასულ კვირაში რევიზიას ახტენდა.

წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს შემადგენლობაში დიდი ცვლილება ხდება.

გაბრიელ სუნდუკიანცის სიკვდილს ქართულ-სომხური დრამატული მწერლობა ერთნაირათ გლოვობს.

ქართული ფილარმონიული საზოგადოება გლოვობს მომღერალი რატილის სიკვდილს.

ჩინეთში ანარქიაა გამეფებული. იუანშიკაი მძიმე ავით გახტა.

ჩინეთში აჯანყებულთა რიცხვი ნახევარ მილიონამდე აღის.

იაპონიას ჩინეთში ჯარი შეყავს. ტიბეტი დამოუკიდებლობას აცხადებს.

ოსმალეთს განზრახვა აქვს ომი არ შესწყვიტოს, მიუხედავად იმისა, რომ იტალია საღავათიან პირობებს იძლევა ზავის ჩამოსაგდებათ.

ხმებია — გერმოგენი სინოდის წევრათ ინიშნება.

ბაქოს ქალაქის მოურავათ სახელმწიფო სათათფიროს ყოფილ თავჯდომარეს გოლოვინს აირჩევნა.



# „აღდგომის“ მოლოდინში.

გაზაფხულდა!.. მოენატრა  
სულსა ლხენა,  
აღმაფრენა...

მოეწყურა...

კმარა — ჩემთვის რაც იზამთრა...  
მეყო, ბედკრულს რაც რომ სევდა,  
სევდა მიძიმე სულს მიღვედა,  
ბულს მესურა...

\* \*

მახსოვს... მახსოვს... ოხ, რამდენი  
მაგონდება  
ბოროტება,  
შხამ-ნაღველი...

და მითა ვარ გულნატკენი,  
რომ დამცველი არვიზ მყავდა,  
დიდი, მცირე როს მშხამავდა,  
მითა გველი...

\* \*

ნუთუ არ აქვს დასასრული  
ამ უმართლო,  
უსამართლო

ჩაგვრას, დევნას?!

ბულო, ნუ ხარ სულწასული!  
მალე... როცა დამიწდები,  
მაშინ... მაშინ ეღირსები  
ძოცნას, ხვეწნას!..

\* \*

ჩვენში მარად ასე ხთება:  
მართალს — ვსდევნით,  
შკლავთ ცუდ-ენით,  
ძვირ-გინებით...

როცა სული ამოხთება, —  
ღმერთმა იცის-რას არ ვიტყვი...  
შვეყანას ვძრავთ ჭრელი სიტყვით...  
ბვირგვინებით!..

\* \*

მაგრამ მკვდარსა რისთვის უნდა  
თუნდ მართალი  
სამართალი

და ნუგეში,

როს ცოცხალსა ქვა და გუნდა  
მიყარეთ — და აწამეთ  
და სიცოცხლე დაუღამეთ  
ცრემლთ გუბეში?!

\* \*

სად ხარ, ჩემო გაზაფხულო,  
სანეტარო,  
სანექტარო,  
სულის მლხენო?

ბენატრება განა, სულო,  
დასტკბე წრფელი სიყვარულით,  
დასტკბე შვებით?.. სიხარულით  
ბანისვენო?..

\* \*

გაზაფხულის ნაზო ია,  
მითხარ, მითხარ...  
ნეტა რით ხარ  
მოღიმარი?..

შვების კარი რით გაქვთ ღია,  
ჰე, ყვავილნო, მიდვრის შვილნო,  
ათასფერათ გადაშლილნო?  
რით ხართ მტკბარი?..

\* \*

და თქვენც, პაწა ჩიტუნებო,  
რომ ცქრიალობთ,  
ჭიკჭიკ-გალობთ, —  
რით ხართ შვებით?

თუნდ უგულო, უგუნებო-  
შრთერთს სისხლსა არ გაუშრობთ  
და იმ ბოროტს არ მიუთხრობთ,  
ჩვენ რომ ვშვერებით...

\* \*

ოხ, რას ვამბობ მეც, მეც ერთი!..  
სად „ღვთის შვილი“ —  
სად უგბილი  
და უხამსი!..

„შვეყნის მეფე“, „მიწის ღმერთი“ —  
რაც სწადია, იმას შვერება...  
მოძმისავე სისხლით თვრება-  
„ღვთისა მზგავსი“!..

\* \*

გაზაფხულდა!.. კვლავ იმედი  
სულს მალამოთ —  
და საამოთ

ბულსა ხედება!..

მაგრამ... ეჰა, შავი ბედი!..  
შწევარ მარად ცრემლთ ლოგინში-  
და, „აღდგომის“ მოლოდინში,  
სული მხთეშა...

სილოვანი.



## რამეთუ შემეყვარენ მე!..

გეთსამანიის მთის მწვერვალზე მდგომი, იგი ხელოვანი მოქანდაკის მიერ ჩამოსხმულ ქანდაკებას გავდა... ცეცხლი ღვთიური, რომელიც მის თვალთა წილს შეფარებოდა, ვეზუვის ამოკენესა იყო...

თვალნი ცათ აღეპყრო და საღამოს ნიავს შეუფესთან მორწმუნე გულიდან ამონაკენეს ჰანგს ატანდა...

რარიგ წარმტაცი იყო ამ დროს კრთოლა თვალთა, მუსიკალური ძგერა გულითა!..

ვინ უწყის—სად ქონდა დასაწყისი და სად დასასრული მის თვალთა გამოხედვას...

„რამეთუ შემეყვარენ მე!“

რქვა მან და ხელნი ცათ აღაპყრო...

— შეგიყვარე, მეუფეო ჩემო, შეგიყვარე!—ოხვრით გაიმეორა მარიამ მაგდალინელმა, თვალეზი ძირს დახარა, დედამიწას გაშტერებით დააცქერდა, თითქო მას ცხოვრება ამქვეყნიური ჯერ არ მოწყენია და ნაზარეველის მიერ თვალთა ცათ აპყრობა ტანჯვას გვრიდესო...

— არა, მარიამ! შენ რომ ამბობ, ის სხვა სიყვარულია, მე კი მაგას გარდა სხვაგვარი სიყვარული მეჭივრება... მე სიცოცხლე მინდა, სიცოცხლე, და ამისათვის კი სიყვარულია საჭირო... უსიყვარულოთ სიკვდილს ვერ დათრგუნავს ადამიანი, მარიამ. შენ სხვა სიყვარული გიღვივის, მე მაგას გარდა სხვაც მინდა, სხვა, რომელიც მკვდრეთით აღმადგენს!.. ღაუტევე დედა შენი, და შენი—და მომეკედლე მე!

ღაუტევე, —მეუფეო, ყოველი დავგმე შენთვის, არარა მახარებს გარდა ნაზარეველის გამოხედვისა, ძგერა ჩემი გულისა შენ გეკუთნის, მეუფეო ჩემო! უსახლვროა გრძნობა ჩემი, ვით ფიქრი შენი; მიმზიდველია ტრფობა ჩემი, ვით სიტყვა შენი!.. ამაზე უფრო ვის ძალუძს შეგიყვაროს?..

— მე სიკვდილი მინდა დავთრგუნო!

— მეუფეო ჩემო! აზრი ჩემი ვერ მისწვდა, თუ რას მიელტვის ფიქრი შენი... ამბობ—სიცოცხლე მსურსო, და ამასთანავე ფარისევლებს აძლევ თავს სა-

წამებლათ!.. ამბობ—სიცოცხლეო, და მზათა ხარ—ჯვარს გაეკრა... მე მინდა, რომ შენ იცოცხლო, იცოცხლო და ამით ბედნიერება მიანიჭო შენს თავს და მეც, მეც, მეუფეო ჩემო! რატომ არ შეტყვი, თუ რას მიელტვი, საით მიქრის ფიქრი შენი?..

— სიყვარული, მარიამ, სიყვარული! სიკვდილი სიცოცხლისათვის!.. მკვდრეთით აღდგომა,—გესმის თუ არა? მკვდრეთით აღდგომა! ამას ვერც გაიგებ, ეს უნდა იგრძნო... ჯვარზე გაკვრა მე არა მკლავს:

„რამეთუ შემეყვარენ მე!“

... და სიტყვები ნაზარეველისა დასავლეთის ნიავმა აღმოსავლეთის ქაოსში შეურიბა და ბუნებამ ნაზარეველის სიტყვებს პასუხი გასცა:—„რამეთუ შეგიყვარენ შენ, სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველო“.

ნაზარეველმა მარიამს უკანასკნელი ამბობრი უძღვნა და, ღრმა რწმენით გამსჭვალულმა, წამების ჯვარს მიაშურა...

გუცა.

21 მარტი

## გაზაფხულის ხმები.

შვების წალკოტში  
იფურჩქენის ვარდი,  
მდემის მკერდზე  
ტურფათ ნაზარდი...

თავს დარაკრავებს  
ნაზი ბულბული,  
სპეტაკი გრძნობით  
ბულ-აღგზნებული!

შმღერს უმანკოს,  
წარმტაცსა ჰანგებს,  
აქსოვ-აქარგავს  
წრფელ გულის ნადებს...

წყაროც ჩუხჩუხით  
მდლუდუნება...  
ხარობს სამშობლოს  
უხვი ბუნება!..

სიმართლიწვილი.



# ქრისტე აღსდგა!

... და მოვიდა იგი მოთხველი სიმართლისა და ჭეშმარიტებისა მსჯავრდასადებათ...

და წარსდგენ მის წინაშე ჩვენი კალმოსანი... პირველ რიგში იყვენ მგოსანი.

და რქვა მათ მოთხველმა სიმართლისამან:—

შოველი თქვენგანი მოშაირობს... ხოლო იყო ერთი მეფე სიტყვისა, შეუფე შაირისა, ბატონი ლექსისა, რომელმან რქვა:—მოშაირე არა ქვია, ვინცა იტყვის ერთი, ორიო, გაიძახის—ჩემი სჯობსო და უცილობლობს, როგორც ჯორიო... თქვენგან რჩეული ცოტაა... და იტანჯენ რედაქტორები, დაცოდვილდა მკითხველი, არავინაა გამკითხველი... პოეზია ყოველთათვის ხელმისაწვდომი როდია... მარდასა და ნებხსა, მართალია, მზე სწორათ მოეფინების, მარა თვით იგი მზეც ნებხს ვერ გაავარდებს... ნურც თქვენ გასცთებით ფარვალსა და ფარდებს და ნუ აუშლით მკითხველსა და რედაქტორებს დარდებს...

თუ ზენამ გშვათ ძახაბერათ—

ხამს იმგოსნ-იკახაბეროთ,  
პოეზიის ტკბილ ჰანგებით  
მიჯნურთ გული აუტყეროთ;  
ბუღბუღი და იადონი  
ააკენსოთ, აამღეროთ;  
ჩანგი, ზეცით ნაბოძები,  
ახმაურათ, ააჟღეროთ...  
ნაცოდვილებ ლექსთა კითხვით  
მკითხველები არ გაბეროთ...

თუ...

ჰიდევ—თუო?! ამას აღარაფერი თანი და უნი არ უნდა!

პოეზია—ეს დიდებული ტაძარია, სადაც ყველა თავ-ქუდმოგლეჯილი მირბის, ხოლო უმრავლესობა მუნიდან ისეთი დაგლეჯილი გამოდის, რომ მუნისგან დაფლეთილი ქოფაქი გეგონება... მართო რჩეულთათვის დადგენილა ტაძარი იგი თავშესაფარათ და შუბათჲ და ფარათ იმათ ოქროს კალამი და ატლასის ეტრატე ხელთ უპყრიათ. და მას ეტრატესა სწერია ღვთიური სიტყვები, ზეციური საგალობელი ოქროს კალმით მონაქარგი...;

ღვთაებრივია პოეზია!.. და ვისაც ეს ნიქი ღვთიური ზეცით არ მომადლებია—პოეზიისთვის ცული გამდლებია, ფუჭი ბადლებია და ნურც ახლებენ ხელს... ვერ მოიხვეჭენ სახელს.

შემდეგ ამისა მოთხველი ჭეშმარიტებისა სხვა კალმოსანთ მიუბრუნდა... აქ იყვენ:—პუბლიცისტნი, მწერალნი მო-

თხრობათა, მინიატურებისა, კრიტიკოსნი, კირკიტოსნი, მექრონიკენი, მექოროიკენი და სხვ. და სხვ...

— შედარებით უხვათა ხართ, უხვათა სწერთ—რქვა მათ მოთხველმა სამართლიანობისამან... უხვი გაქვთ მასალა--ქირი და სამსალა თავს დაგტეხიათ, ხოლო ციხე შიგნიდან რო გაგტეხიათ—არ არის მოსაწონი. მწყვედულ ხართ ამა ციხესა შიგა და ნაცვლათ იმისა, რომ იგი აშენოთ, ქვა-კირი ერთმანეთს დაადულოთ, რომ მტერს კარი არ გაულოთ,—ამ ციხის კედლებს თვით უთხრით კედლებს ძირს, გავხართ ცივ-მქედლებს და არ იშლით ერთმანეთის ძვირს...

შეხედეთ, როგორ მუშაობს

მწერი პაწია ჯინკველა,

რა ერთგულია საქმისა

და ბეჯითია სუყველა...

შუტკარი ია-ვარდაგან

პრფეს თაფლისათვის მასალას...

თქვენ კი ერთმანეთს უშზადებთ

ძიმწარეს, შხამს და სამსალას...

უჩხირკედლებთ ერთმანეთს,

მტრის თვალს უცხადებთ სახესა,

იგიც იოლათ ამზადებს

თქვენ დასაჭერათ მახესა.

დახს, ცივ-მქედლებს გავხართ... ცივ-მქედელა გავარვარებული რკინის ნაცვლათ ცივ რკინას უროს უკაკუნებს და გრდემლსაც აცთენს, უროსაც აცუდებს. როცა რკინა გააღებულია, გრდემლს რო დაუდებ და ზედ უროს დასცხებ,—ისეთ სახეს აძლევ, როგორც მოგეპრიანება... შენს უნარსა და გემოზეა დამოკიდებული... ასეა იმ მასალის ვითარებაც, რომელიც ხელთა გაქვთ, და თქვენ, ვით ცივ-მქედლები, ვერ ხმარობთ, ვერ იყენებთ...

ზამოსქედეთ სიმართლე!.. ხალხს უნდა სინათლე...

თავი შესწირეთ ჭეშმარიტების ძიებას, ემსახურეთ მშვენეიერებას... მიაწევთ ბედნიერებას.

## ქრისტე აღსდგა!

თუ კი დადგა

სიხარული,

სიყვარული!

ჭეშმარიტათ!

თუ კი მშვიდათ

ნახეთ შრომა

და აღდგომა.

თომა პუსა.



## ისევ ბოლგოთა...

ისევ ბოლგოთა... წამების ჯვარი...  
 ძვლავ ფარისეველთ ხარხარი მწარე...  
 სიმართლისათვის კვლავ დევნა, დევნა...  
 აღარ აივსო ნეტა სამარე?

მტარვალი სულს ხდის ხალხს დაობ-  
 ლებულს!

მონობაშია სამშობლო მხარე...  
 სიმართლისათვის კვლავ დევნა, დევნა...  
 წამების ჯვარი... ცივი სამარე...

შენ, კაცთსახსნელათ მოვლინებულო,  
 მის ღრმა გაქვს აზრი და ენა ტკბილი,  
 მარქვი: რათ, რისთვის არ დაითრგუნა  
 ჯერ კაცთა შორის მკაცრი სიკვდილი?

საბედისწერო დაგეჩხავის ყვავი,  
 შორანი ამკობს ყრანტალით არეს,  
 სიმართლისათვის კვლავ დევნა, დევნა...  
 ღღესაც უთხრიან ქრისტეს სამარეს!..

ისევ ბოლგოთა... წამების ჯვარი,  
 ძვლავ ფარისეველთ ხარხარი მწარე...  
 სიმართლისათვის კვლავ დევნა, დევნა...  
 აღარ აივსო ნეტა სამარე?!

22 მარტი.

გუცა.

## მ ი წ ა.

პილატემ ნაზარეველს კითხა:  
 „რა არის ქეშმარიტებაო?“—  
 მაშინ, როდესაც თვით ქეშმარიტება  
 მის წინ თავდახრილი იდგა...

მას ეკლის გვირგვინს უმზადებდენ...  
 — ბახსოვს—შენაც მკითხე:—რა არის  
 სიყვარულიო.— მაშინ, როდესაც მე შენს  
 წინ ვიდექი და სულის თქმა აჩქარებული  
 მქონდა; სიყვარულის მზე შენ იყავი...  
 შენ იყავი თვით სიყვარული და მე კი  
 მეკითხებოდი. მნეტარებდი... სიყვარული  
 მაცხოველებდა. ოჰ, რა ბრმა ვიყავი.  
 სიყვარულის ღვიძლ ძმას ვერ ვიცნობდი  
 და შენც უკმაყოფილოთ შემნიშნე:—

— სადღა არის ამ სიყვარულთან ქეშ-  
 მარიტება—სიმართლე? მე თვალთ ამე-  
 ხილა და ხმალ ამოწვდილმა იმედ-მოცე-  
 მით მოვიგე: აჰა მკლავი მაგარი და ხმა-

ლი ფოლადის, ამით ვპოვებ და ვსჭრი  
 სიმართლეს...

ხმალი?... ძვალად შემეკითხე შენ და  
 თავდახრილმა მძინეთ ამოიოხრე. სადღა  
 არის მაშინ სიყვარული? ხმალი ხომ მტე-  
 რია მისი,—რამეთუ ამღები მახვილისა  
 მახვილითავე...

ზარდაცემულს ხმალი ხელიდან გამი-  
 ვარდა და ისევ ძვირფას განძს მივაშურე.  
 ძვლავ სიყვარულს ვეძიებდი და უცებ  
 შენი თვალეზი, სიყვარულის ცეცხლით  
 ავზნებული, მწველი თვალეზი მომხედენ...  
 ბული გაგმირეს.

სიხარულით თავი ავმართე და გიპასუხე:  
 — შენი თვალეზი... აი, უშრეტელი  
 წყარო სიყვარულისა...

შენ გულიანათ გაიღიმე... მე მწარეთ  
 ამოვიოხრე და ვიგრძენი ჩემი შეცთობა—  
 მივიხვედი თვალთმაქცობას.

შენს თვალეზში ენებით გატაცება,  
 წუთიერი სიყვარული ჩნდა, ხოლო ქე-  
 შმარიტება კი უკვდავი და სამარადისოა.

შერ იქნა, ჩემო სახიერო, ვერ ვპოვე ერ-  
 თად სიმართლე და სიყვარული, და მეც  
 გაგშორდი.

ბანვლო დრომ...

ღღეს შენ აღარ ხარ, სანთელივით  
 დადნი და მეც შენი გულის ფერფლი-ლა  
 დამრჩა,—სიყვარულისაგან დამწვარი, და-  
 ფერფლილი გული და პატიოსნება, სიმარ-  
 თლის ძიებაში დაღვრილი კრემლები...

სიყვარულის ფერფლი...

სიმართლის ცრემლები...

და მე შევაზავე ისინი: ფერფლი და  
 ცრემლი; გადავხლართე სიყვარული და  
 სიმართლე.

...ღა ვიოხე, რომ შენ აღარ მყავდი,  
 რათა გეხილა, რასაც ასე ძლიერათ ეს-  
 წრაფოდი.

იცი, ჩემო მოყვარულო, რა მომცა  
 ცრემლისა და ფერფლის შეზავებამ?—  
 ტალახი, მიწა. მიწა, აი სიმბოლო სიმარ-  
 თლისა და სიყვარულისა. ბავიგე ღ უფრო  
 ძლიერათ შეგიყვარე, ჩემო საუნჯე, უფ-  
 რო ღრმათ ჩამეჭერ გულს მწველის თვა-  
 ლებით, იმიტომ, რომ ამ დროს, შენაც  
 მიწა იყავ...

მიწა—სიმართლე, სიყვარული...

აკაკი პაპავა.



# რომანსი.

სარეცელათ სული მოგეც,  
 ოფილი გულით გეაკვანე...  
 მოწიწებით თაყვანი გეც,  
 ხოტბით ცამდი აგიყვანე!..

ნაკადის ხმა ფოთლის შრიალს—  
 . შენ სალხენათ შევეურთე...  
 ღვეწაფე ვნების ფიალს—  
 და ვენერათ გაგაღმერთე!..

მე მეგონა—შენს ტკილ ხმებში  
 ზეკვეყნის ცეცხლს ჩავსახავდი  
 და ყუყუნა ნორჩ თვალეში,  
 დამქრალ ტრფობას კვლავ ვნახავდი!..

რა ვიცოდი, თუ ამ ჩემს გულს  
 ცფიერობით დასტანჯავდი—  
 და შენდამი ტრფობით გზნებულს  
 აგრე უღვთოდ მოშხამავდი!...

მ. უზნაძე.

## სააღგომო კოცნა.

აღგომა კოცნის დღეაო—მითხრა ნეს-  
 ტორმა. ამ დღეს ერთმანეთს კოცნიან  
 მშობლები, ნათესავები, ნაცნობები და  
 ისეთებიც კი, რომელთაც სხვა დროს  
 ერთმანეთის კოცნა არ შეუძლიათ. ძოც-  
 ნიან ერთმანეთს ისე, როგორც უნდათ  
 და უღირთ: მაგრათ, გრძობით, ცი-  
 ვათ, მოწყვეტ, გძლათ, ხან ერთი ხან  
 ორი ტუჩით, ლოყის მიდებით.

ამ დღეს ვის არ უკოცნია ჩემთვის და  
 ვინ არ გადამიკოცნია.

მაგრამ ერთი აღგომის კოცნა ხსოვ-  
 ნაში მაგრათ ჩარჩენილი მაქვს.

ახალგაზდა ვიყავი და ბინათ აღექსანდ-  
 რესთან ვიდექი.

აღექსანდრეს ახალგაზდა ქალიშვილი  
 ლიზა ძალიან მომწონდა და ჩუმათ ვე-  
 არშიყებოდი. აღგომის წინა დღეს ლი-  
 ზამ მითხრა—ხვალ გაკოცნიებო. სიხა-  
 რულისგან კინალამ გავგიჟდი. შაბათი,  
 როგორც იყო, დადამდა. ვიწვექი, მაგ-  
 რამ თვალებს ძილი არ ეკარებოდა. სულ  
 იმის ფიქრში ვიყავი გართული, თუ ლი-  
 ზასათვის რარიგ მადიანათ მეკოცნა: ტუ-

ჩებს ვავარჯიშებდი ბალიშზე, მუთაქაზე,  
 კედელზე. ამასობაში შუა ღამეც გადა-  
 ვიდა.

ზარების რეკა ატყდა. ავდექი, ჩავიც-  
 ვი. შეველა ეკლესიაში წასასვლელათ ემ-  
 ზადებოდა.

ახალ ტანისამოსში გამოწყობილი ბავ-  
 შები ერთმანეთს დღესასწაულს კიდევ  
 ულოცავდნენ. ამან ჩემზე იმოქმედა და ლი-  
 ზას კოცნა ახლა მომინდა, მით უფ-  
 რო, რომ მისი რგვალი, თეთრი, ნამძი-  
 ნარევი სახე ისეთი მშვენიერი იყო, რომ  
 ბერსაც კი ცხონებაზე ააღებებდა ხელს.

ლიზა ვერსად ვნახე. აივანზე გამო-  
 ვედი. ბნელოდა. შეცრათ აბრეშუმის კა-  
 ბის შრიალი შემომესმა. ლიზა მომე-  
 ლანდა... მივვარდი, გადავხვიე და  
 ტუჩებზე დაპირებული კოცნა დავაკარი...  
 ამ დროს მკერდზე მაგარი მუჯლოგუნე  
 ვიგრძენი...

— შინა ხარ არამზადავ!—მომესმა ლი-  
 ზას დედის ხმა. თავბრუ დამესხა... ავ-  
 კანკალდი და ბოდინით ვუპასუხე:

— უკაცრავათ, ბატონო, ლიზა მე-  
 გონეთ!..

ჯ. ჯორჯიკია.

## დამემსხვრა ჩანგი ციური!..

(გ—ს)

დამემსხვრა ჩანგი ციური...  
 მწარეთ აკვნესდა სიმები,—  
 ბუღს მძიმე ტყვიათ დააწვა  
 ფიქრები... შავი ფიქრები...  
 მაჰმე, უდროოთ დავმარხე  
 ჩემი სიცოცხლის ნუგეში...  
 ახლა ერთილა მშთენია—  
 მცურავდე ცრემლთა გუბეში...  
 ვიგლოვებ, მწარეთ ვიგლოვებ,  
 არ შევსწყვეტ, არა კვნესასა:—  
 ბოდებით შევსძრავ სამყაროს,  
 ხედის ჰანგს ვასმენ ზეცასა...  
 უმანკო ტრფობის ცივ საფლავს  
 ბავათფობ ცრემლის მიღებით  
 და ზედ სიყვარულს მოვქარავ  
 ბუღის სისხლისადინებით...

ანათემა.



# გაზაფხულის ზღაპარი.

ესკიზი.

ობოლმა მხარემ კმუნვის თეკა გაიძრო. შევიღოთ გროვა იქ, შორს, ახევს მწუხრის დემონს შავ მანტიას. მოჩუხჩუხე ნაკადულმა, ყინვისაგან გათოშილმა, სევდის მანტია გაიხადა და შავ ღრუბლებს ამოათარა. ცხოვრების მდელი, უკვე დამზრალი, სიყვარულის ჰიმნს გალობდა. ცეცხლის ეტლით მიმოქროდა მომავლის ბედ-იღბალი. მასში იყო ჩამარხული მგონის მუზა, მამერალთ კვნესა... მასში იყო ჩამარხული განთიადის ნათელ-სხივი.

მდელი ზღვა გულში თავი ამოყო მომავლის ქორთა იამ! აბა შეხეთ, რარიც ყვავის, ვის უღიმის! ვის უღიმის!—იქნებ იმას, რომ სიცოცხლე წამით მხოლოდ აყვავდება... იქნებ მონას, ბედკრულ მონას უკარნახებს—დაამსხვრიოს საუკუნოთ განაჭედი კატობორკილი?... ან არა და—მის ლაწევებზე ამოსწუწნოს ცრემლი მწარე!—თუ მაგრეა, მაშ რას უტოის?...  
მხ, ის ბულბულს, სევდის მგონს, გაზაფხულის მოლიკლიკე ნაკადულსა... მას გაატანს მამერალთ ცრემლსა, მას გაატანს ქვეყნის დარდსა. ღა მგონსა მადე დადნოს ცრემლთა ტბაზე ობოლი მხრის მწარე სევდა. ახალ აკორდს, ახალ ჰიმნსა ამცნობს მიდორს, ამცნობს ველსა...

ცა კვლავ იცინის... სხივოსან დღესა მოსწყდა სიმღერა გაზაფხულის და ეს სიმღერა, ძღვეამოსილი, ზღვამ მოიტაცა და ჩააქსოვა მწუხარეს მთრთოლვარე მკერდსა.—მს სიმღერა იყო მომავლის მოძახილი, მასში იყო ჩამარხული, მიწის კვნესა, მიწის სევდა...

შეკრთა მიწა. სხივთა თაიგული გადმოეთოვა ხვერდის ფერს მობიბინე მდელი... ტრფობის ყვავილებს. იქ ყვავილმა გადაკოცნა მიწის სევდა. ნაზი კოცნა სატრფოს უძღვნა. ზულს დაკიდა ოქროს მძივი, გაზაფხულის თაიგული...

მთას გაეცალა შავი ღრუბლები. მას-ცურა ბარი, გასცდა სევდის მთებს. სიკვდილის ცელი ზეცამ შესცვალა ულუმბოს მგონის წკრიალა ქნარათ.—სულის მწვეო, ტრფობის ყვავილო, გაიხარე, გაიხარე. გაზაფხული მოსულა! ნულარ აფრქვევ მდულარე ცრემლებს. ხომ გა-

მოკრთა მზე დიადი! იქ ციმციმობს განთიადის ვარსკვლავი!..

—ნუ გეშინის, გულის სწორო! ცისა ღრუბლებს მეხი დახვეს... ეღვა გაკრავს თავის ბასრ ხმალსა და შავ წყედიადს ააკრიალებს! სიყვარულის კოცნას შეთხზავს ტურფა ია, ნაზ-შროშანი... შვების მგონსა მოშორდება შავი დემონი. სიცოცხლის ხმას დააკვდება მგონის ქნარი, მგონის ჩანგი. მთვარის დისკოს პირს გაუკრთობს განთიადი...

ცელი სიო გაზაფხულის ზღაპარს უამბობს მობიბინე ხვერდ ბალახს. უამბობს და მოგონებათა ზვირთებში შეატოებს. იგი საშინელება... საშინელება! მასში ციმციმობს ბედის ვარსკვლავი, ბედის ვარსკვლავი მშობელი ქვეყნის.

ზღვა ბობოქრობს. მან შეინახა მამერალთ ცრემლი. მის უფსკრულში მიმოსრიალობს ზღვის ბიოსნა, ტრფობის ღმერთი. ზეცამ აზიდა ყოფნის ნაღველი. უკვე დგება ზღვევის ჟამი. ისმის ნალარა, ბრძოლის ნალარა... იქ, მიიწვეს მამერალთ ლაშქარი. ან შეაკვდება მუხთალსა ბედსა, ან საბედისწერო ალამს ააფრიალებს!..

მს ზღაპარია, ზღაპარი გაზაფხულისა.  
ს. ბაირონიშვილი.

## მუშის სიმღერა.

მიწის შვილი ვარ—და მიყვარს მამისეული ხელობა...  
ჩინ-ტემლაკები რათ მინდა ღა მზგავსი სიგჟე-ხელობა?!

მიწის შვილი ვარ—და ვუვლი თავგამოდებით მიწასა...  
მიყვარს და ვემსახურები ამ საზოგადო ძიძასა!..

მიწის შვილი ვარ: იგია ღედა და ჩემი აკვანი!  
მე მისგან გამოზდილი ვარ,—  
შრომა ჩემი საგანი!..

როს ზამთარს შემდეგ დათფება, მიწას გავუხსნი გულ-მკერდსა—  
ღა ჩემი შრომით ამოვსწოვ მის ძუძუებით ტკბილ რძესა!..



მიწის შვილი ვარ,—ჩემს შვილებს  
ამას ვუტოვებ ანდერძათ:  
ჩემებრ იწამონ იმათაც  
შრომა ცხოვრების ტკბილ ღმერთად...  
არ უღალატონ ბუნებას,  
სიმართლის გზითა იარონ—  
და თვისი ოფლით ნაშრომი  
მოძმეთა გაუზიარონ!..

მელქ. თევზაძე.

## შერილი კვირიკისთან.

პირველათ ბრავალს მოკითხვას მოგახსენებ, ძმაო ძვირიკე. შე კაი კაცო, ქვე რავე გემართება შენ და შენ მეგობარს სამშაბათელას სულ რომ მა ჭუთაისს ჩასციებიხართ და ერთ ამბავს არაფერსა სწერთ რაქის შესახებ. აქ რომ მოხვიდე, ჩემო ძვირიკე, საგაზეთო წერილებს იმტენს დასწერ, ქვეც ვერ ოუხვალ, მარა ერთი კია, როგორც მანდ სჩადიხარ საქებს ქვე აქებ და საძაგებელს ქვე აძაგებ, ამას ვერ იზამ რაქაში. აქ ყველა უნდა აქო ჭი, თვარა გეფიცები გამკითხველ ალექსი ჭემოკლიძის სიმართლეს ზოცირიძის ავტომობილითაც ვეღარ გაასწრებ რაჭველებს. მს რომ ასეა, მე მოგახსენებ ამის უტყუარ მაგალითს. ამას წინათ გამოჩნდა ვილაცა და დასწერა „რაქული სამაკლიერო“ იცოცხლე, შეიქნა ერთი ანურ ზაური „ძვერა შუბისა, ხეთქა ხმალისა“, ვის არ ემუქრებოდენ. როგორც გევიგე ჭი თურმე ჭუთაისს აფრინეს კაცი, რომ შეეტყოთ წერილის ავტორი. ჭვე იტყვი ახლა შენ, ჩემო ძვირიკე, ეს ვილაც გამკითხველია რა სახსენებელი იყო ამ წერილშიო. ამისთანა გამკითხველი ღმერთმა ბევრი მისცეს ყოველ შენთვის კეთილის მყოფელს, ჩემო ძვირიკე. მოგიყვები, როგორი კეთილი საქმე ჩაიდინა ამ გამკითხველმა. ერთ ღარიბ გლეხს შვილი ყავდა ავათ. ზღეხი წვიდა და ქვე აკითხვია გამკითხველს. ალექსის ეთქვა გლეხისთვის: შენი შვილი ავათ არი, კუდურებს მოუჯადოებიათ, მაგრამ ღმერთს არც ასე მოძულეებიხარ, შენს ყანაში მარხია ხაზინა, მოთხარე და

საუკუნოთ გამდიდრდებო. ზღეხი მოსულა სახლში და ეს ამბავი ცოლისათვის უთქვამს. ზღეხის ცოლს მეზობელ ქალეზისათვის გადაუტია ეს ამბავი. შეერთებულა რამდენიმე გლეხი, ერთ დღეს დაადგენ გლეხის ყანას და ბოლოდან თავადი გადააბრუნეს მიწა, მაგრამ, როგორც შენ არ გინახავს, ჩემო ძვირიკე, ჩინეთის ზოგდინხანი არასოდეს, ისე მათ არ უპოვიათ ხაზინა. ზღეხი დაფაცურდა და ახლა ვახს ეძებს გადაბრუნებულს მიწაში ჩასარგავათ. ამისთანა კეთილი საქმე უქნა საწყალ ღარიბ გლეხს გამკითხველმა, წადი დოუშალე ამისთანა კაცს გამკითხველობა: ჩემო ძვირიკე, არ მიძრახო რომ ამისთანა აბდა უბდა ამბებსა გწერ, მარა ქვე რა ვქნა, აქ არც თარხნიშვილის ქალი იმღერის, რომ იმაზე დავწეროთ რამე, არც დრამატიული დასი მართავს წარმოდგენებს, რომ ან იმაზე სწეროს კაცმა. შე კაცო, ვერ ეტყვი მა მსახიობებს მოვიდენ რაქაში და წარმოდგენები გვაჩვენონ. არ ვიცი რათ მოგივიძულეს ასე: მისობას არც დასი მოსულა რაქაში, არცა რომელიმე ქართველი გამოჩენილი მწერალი. ავიღოთ მაგალითად აკაკი. რა იქნება, რომ ერთჯერ მობრძანდეს ჩვენში და ვნახოთ.

ჭვე იტყვი ახლა, ჩემო ძვირიკე, ნუ თუ რაქაში სცენის მოყვარენი არ არიანო, რომ წარმოდგენა გამართოთ ხოლმეო. ბეფიცები ჩემ სამამსამოცდასამ წმინდა ზიორგის, ამას წინეთ წარმოდგენა უნდოდათ გაემართათ „და ძმა“ და ქალი ვერ იშოვეს, რომ ეთამაშოს ქალი,—დამიდგეს თვალი, თუ ტყუილი გითხრა. მისაც სურვილი აქვს, იმას არ შეუძლია თამაში, ვისაც შეუძლია ის არ კადრულობს. ო მართლა, ქალი რომ ვახსენე, ქვე არ გამახსენდა, რაქაში ახლა ორკოლიანობა შემოიღეს. აწი მალმალე მოგწერ წერილებს, ჩემო ძვირიკე, მანამდი კი მშვიდლობით.

შენი რაჭველი მაკვლიერი.



# ქარი სისინებს...

აღდგომა ღამეს.

ცა იღრუშება... ღრუბელთა გროვა —  
საზარს უქადის დედამიწის გულს... ქარი  
ზუზუნებს. ქენესის და გმინავს მთელი  
სამყარო. ისმის მრისხანე ქექა-ქუხილი:  
კარგი არ ელის დედამიწის შვილთ...

ნათელი ბნელმა მოიციო, იღუმლის  
ზარმა შთანთქა ქვეყანა. მცენარეც კი  
გრძნობს სუსხსა და მწუხრსა... არ ხა-  
რობს ველი. სისხლისფრათ ღელავს თვით  
ზღვის უფსკრული. იგი აშფოთდა, აზვირთ-  
და ტალღათ, ფიქრობს წალეკოს მთლათ  
დედამიწა. შმადურების ნიშნათ ქვეყანას,  
კარგს არ უქადის არც განთიადი.

სისინებს ქარი...

მკაცრი, საზარი...

იუდა ხარობს...

ხარობს ბოროტი...

გრძნობა დაზულვებს გამოვლვიდა. ჰვე-  
მძრომელები ნეტარებს, სტკებება...

სინათლის ძალა სიბნელემ შთანთქა.

სისინებს ქარი...

მკაცრი საზარი...

იუდა ხარობს...

ხარობს ბოროტი...

მდემის ბალსა, კვლავ ყორანთ ხროვა,  
თავს დასჩხავიან ნიშნათ გლოვისა; სტი-  
რის ბულბული, გლოვობს მერცხალი,  
ხმა არ მოისმის გაზაფხულისა...

სისინებს ქარი...

მკაცრი საზარი...

იუდა ხარობს...

ხარობს ბოროტი...

ღიდხანს გასტანა ბნელმა სამყარომ,  
ღიდხანს იკენესა ბუნების ძალამ...

## II.

...ცამ იგრილა, განათდა არე...  
სიბნელეს სძლია ნათელმა შუქმა...

მზე ამობრწყინდა...

მზე ამოგორდა...

იუდა სტირის...

იუდა მოსთქვამს...

აღსდგა ტანჯული! აღსდგა ჯვარცმული!

მხსნელი — იესო ნაზარეველი.

ჰველანი ხარობს...

ჰველანი სტკებება...

იუდა სტირის...

იუდა მოსთქვამს.

მდგლო აყვავდა, ბულბული გალობს,  
მერცხალი ხარობს...

ბუნება მრავლფრათ აყვავებულა, ნი-  
შანი მოსჩანს გაზაფხულისა...

ღონ-ღანი.

სვირი, 22 მარტი.

## გარიყრაყზე.

გარიყრაყზე, ოდეს დილა  
ქალწულივით თვალებს ნაბავს,  
მწვანე ბალახს ვერცხლის ცვარი  
თავს უქარგავს, კოცნით ნამავს,  
ამომავალ მზის სხივებზე  
როს ტოროლა. ფრთას ფრთას სტყორცნის  
და აღისფერ ცის არშოას  
მოკრძალებით გადაკოცნის,  
როს ნაკადის ლალს, ცელქ ჩუხჩუხს  
ციურ ჰანგებს შეუთანხმებს, —  
ვენაცვალე იმ ტოროლას,  
ვენაცვალე მაშინ ამ ხმებს!...  
მასში ძალა იხატება,  
შძლეველი ძალა მზისა: —  
იგი წინამორბედი  
ღვთივგამთბარი სიცოცხლისა!  
აი, ამ ღროს ჩანგი ჩემი,  
მომდევარი ბედისწერის,  
ღილის მზის სხივს ქებას უთხზავს, —  
მომხიბვლელათ, ნაზათ ჟღერის!..

## II.

ღამის ბინდზე, მთების კალთებს  
როს წყვდიადი უაღერსებს,  
ხეთა ფოთლებს ჰოტი უთხზავს  
შავბედითსა, მწამლველ ლექსებს,  
მთის ნიაგი როს მწვერვალზე  
შავ ბურუსათ გადიქცევა,  
ოდეს სძინავს მწვანე ბალახს,  
ღერო მისი არ ირხევა,  
ოდეს ტყე სღუმს, ნაკადული  
სიოს სისინს ცვარში ავლავს  
და ნიაგი შაშვის ჰახჰახს  
ხევზუვისკენ მიაქანებს, —  
მასში ძალა იხატება  
შძლეველი კაეშისა:  
იგი წინამორბედი  
ჯოჯოხეთურ — სიცოცხლისა!...  
აი, ამ ღროს ქნარი ჩემი  
მთის მწვერვალებს ცრემლით ნამავს,  
ჩემს არსებას კაეშანი  
საფლავს უთხრის, უღვთოდ შხამავს...

ბუცა.

9 მარტი.



# ცხოვრება და სიკვდილი

ზღაპარი მაქს ნორდაუსი.

მრთი თოვლიანი მთის ძირას წყნარი ველი იყო გადაჭიმული, რომელზედაც ჩქარი ნაკადული მიჩქრიალობდა. ის ფესვებსა ბანდა ბებერ მუხას, რომელიც გარკვეულათ და ნათლათ იხატებოდა ამ ნაკადულის ანკარა წყალში. ხის ჩრდილში მრავალი ყვავილი იზდებოდა, და მათ შორის—პატარა ლურჯი ასისთავა; ზევით კი მის ფოთლებში მოხუცი ბრძენი ყორანი სცხოვრობდა,

ზაფხულის ცხელი დღე იყო. ასისთავათ უკვე გადაყვავილება დაეწყო, მათი თავები სიცხისაგან თანდათან კქნებოდა. მრთი ასისთავა, დაინახა თუ არა მან ნახევრათ დამქნარი თავისი მეზობელი,— მოყვა ბედისადმი სამღურავით აღსავსე ჩივილს: „ეჰ, რა აუტანელია ჩვენი სვებედი, და თანაც რა შესაბრალისნი ვართ ჩვენ,—ასისთავანი! მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ ერთი ზაფხულის განმავლობაში ვეწაფებით ჩვენ ცხოვრების სიტკბობებს. მზის რამდენიმე ამბორი, რამდენიმე—დამათრობელი ნამით და მთოვარის შუქით შეზავებული—ღამის ღზინი; ორიოდ საღამოს სიოს გამოლაქუცება, რამდენიმე მოკლენიანი სტუმრობა ფაქიზი და ტურფა ბუხანკალისა; ცოტა ფრინველთა გალობა—და გაქრა ბედნიერება, და არც დაბრუნდება ის არაოდეს... ვერ მოვისწრია იგემო ხეირიანათ ცხოვრების სიტკბოება,—გაიხედავ და,— ის უკვე დასასრულისაკენ მიესწრაფება. რამდენათ უფრო ბედნიერია ჩვენზე ეს მუხა, რომელიც ასე ამაყურათ დაგვცქერის თავზე და თავის ფოთლებს ახმაურებს, ის მომსწრეა, თუ როგორ ჩნდებოდენ და ქრებოდენ ასისთავათა ათასი მოდგმა, და მაინც კიდევ სცოცხლობს და, შესაძლებელია, ერთი ათასჯერ კიდევ განიცადოს ზაფხულის აღმაფრენა...

ის დაჩუმდა და ნაღვლიანათ ჩაკიდა ცისფერი თავი.

ბებერი მუხის ფოთლებში ყრუ დრტინვის ხმამ გაიშრიალა და მასთან ერთად გაისმა მშრალი მქექარე ხმა: „ტუტუტო,

რა სისულელეებსა მიქარავ. რასაკვირველია, მე შენზე დიდხანსა ვცოცხლობ, მაგრან შენ ძალიანა სცოცხლობ, თუ მე შენ შურის ღირსათა მთელი. ზაზაფხულის მზე შენ ისე გეამბორება, როგორც დედა თავის საყვარელ შვილს, შენ იზდები უდარდელათ, და თითოეული საათიც კი შენი სიცოცხლისა, შენ ბედნიერებას განიჭებს; ზაზაფხულს და ზაფხულს გარდა, შენ არაფერი არ იცი, შემოდგომის ბნელით მოცული შთაბეჭდილება შენთვის უცნობია. შენ არა გყავს მტერი, და არც არსებობისთვის ბრძოლისა და ტანჯვა-ვაების გაგეგება რამე. ძვეყნათ შენთვის მხოლოდ სიღამაზე და ჰარმონია არსებობს. ჩემი სიახალგაზდე კი მე უთვალავ მტერთან ბრძოლას მოვანდომე, რომელიც მე ზდას მიშლიდა და წინ მელობებოდა. მე მტრობდენ ბუხის მატლები და მისი კვერცხები, ჩრჩილი და თვით ბუხებიც, მობალახე ცხოველთა ხარბი კბილები და ხავსიანი სოკოს ცბიერი, დაუნდომელი შხამიც... და როდესაც მე შევიძელი დამეწია თავი ყველა მათი დევნისათვის და გაზდილ ვიყავ,—როგორი შეიქნა მაშინ ჩემი ბედი? ძარი ჩემზე იყრიდა თავის ბრაზ-მორეულ გულისწყრომას; ის მძვინვარებით სწეწდა ჩემს ფოთლებს და ხშირათ მამტვრევდა შტოებს. მღვა მაძრობდა ქერქს და საშინელ ქრილობებს ასვამდა ჩემს ტანს... აბა შემომხედე კარგათ,— მე მთლათ ქრილობებითა ვარ აქრელე-ბული. შემოდგომა ყოველწლივ მცარც-ვადა მე ფოთლებისაგან, და ზამთრის სუსხი კი ძვალ-რბილში მიჯდებოდა იმ დროს, როდესაც ზაზაფხულზე შენ მხიარულათ მზეს ეფიცებოდი, მე ძლივს-ძლივობით ვახერხებდი გამელხო ჩემი გათოშილი ტანი და მეგრძნო ვაყინულ რტოებში ნოყიერი წვეწის მოძრობა. იმ რამდენიმე დღის გავმავლობაშიდაც კი, როდესაც მე მცირერიცხოვანი ყვავილები მამკობდა, იძულებული ვიყავ მომავალ ზამთარზე შეზრუნა და მისგან მოსალოდნელი უბედურების ფიქრებით ყოფილვიყავ გარემოცული.

„მერე რა ბედნიერებას ვხედავ მე იმაში, რომ შენზე დიდხანს ვცოცხლობ?



მე უკვე ათასი წელიწადია, რაც ვცხოვრობ, მაგრამ, როდესაც უკან ვიხედები, განვლილი დრო მე მხოლოდ ერთ დღეთ მეჩვენება.

„ჩემი ცხოვრება მუდამეამს სავსე იყო შრომით, მზრუნველობით და ტანჯვა-ვაებით, და მხოლოდ იშვიათად, თუ გამოერეოდა ისეთი წუთები, რომლებიც მას ბედნაირების სხივებით აშუქებდა. ჩემს ფოთლებში მცხოვრები ჩიტი მიყვარდა, თუ ჩემს ფერხთა წინაშე მობინე ყვავილით ვნეტარებდი, სიხარული ჩემი ყოველთვის ხან მოკლე იყო: ის ქრებოდა, და მე კი ისევ განმარტობული ვრჩებოდი და განვლილ სიხარულზე მარტოოდენ ქმუნვა შემეძლო.“

„მე ახლა უკვე მოხუცებული ვარ, ჩემს არსებაში სრული სიცალიერვა, ჩემს ფესვებს ჭიები ღრნიან, შტოებს კი სიკვდილი დაპატრონებია, ჩემი სხეულიც უფროდაუფრო იხრწნება, სანამდი ულმობელი დრო სულერთიანათ არ გადამტებს წელში.“

„მე მშურს შენი სილამაზე, შენი მჩქეფარე სიცოცხლიანობა, და თანაც სწრაფი და ადვილი დასასრული. **თუ** სიკვდილი აუცილებელია, განა სულერთი არ არის ჩვენთვის, ადრე გვეწვევა ის, თუ გვიან? **მკვ**, რომ შესაძლებელი იყოს, ამ ძლიერ კლდესავით, თავზე რო დაგვცქერის,— დაუბერებლობა და საუკუნო სიცოცხლე! **თუ** შენ, შენი ბედისწერით კმაყოფილი არა ხარ, მაშინ ამ კლდის ბედი მაინც უნდა გშურდეს და არა ჩემი“.

რამდენიმე ხანს სრული სიჩუმე გამეფდა, მერე კი უეცრათ კლდის მწვერვალი ჭექა-ქუხილისა და გუგუნისაგან გამოწვეულმა თრთოლა-ძიგძიგმა აიტანა, და გაისმა ნელი, მოდუნებული ლაპარაკი, რომელშიდაც მოკლე-ფრაზები გძელ-გძელი პაუზებით იცვლებოდა.

„მუხა, ვერც შენ გამოდექი ამ პატარა ასისთავაზე ჭკვიანი. შენ შენს მარადიულობაზე ლაპარაკობ, მაგრამ ოდესღაც მეც ხომ მქონდა დასაწყისი და ოდესმე იძულებულიც ვიქნები გავკრე. დაუსაბამო ქვეყანაზე არაფერი არ არის. **თვით** დედამიწაც არ არის საუკუნო, თვით

მზესაც კი აქვს დასაწყისი და დასასრული. ჰაერი და წყალი მე ყოველი მხრიდან ძირს მითხრის. **თქვენ** იზდებით— მე კი თანდათან ვკლებულობ, და ერთ მშვენიერ დღესაც ჩემგან აღარაფერი დარჩება; და მაშინ სულერთი არ იქნება— ვარსებობდი ოდესმე მე, თუ არა? მაგრამ ეს მე სრულიადაც არ მაწუხებს, რადგანაც ჩემთვის სულერთია — დიდხანს ვცხოვრობდი მე თუ ცოტახანს. ჩემი სიცოცხლე უსიხარულოა, მე ვდგავარ აქ წლიდან-წლამდი და გულგრილათ ვათვალიერებ ჩემს გარშემო ბუნებას. ჩემთვის სულერთია, ზამთარია ახლა თუ ზაფხული, არ მაინტერესებს მე არც დღე-ღამის ცვალებადობა.“

„მე ვერაფერს ვერა ვგრძნობ; ჩემს არსებაში ყოველივე მკვდარია, მე არაფრის იმედი არა მაქვს და არც არაფრის მეშინია. მე არ შემიძლია შენსავით ვიზდებოდე, არა მაქვს მიწაში ღრმათ ფესვები გადგმული, რომ შემეძლოს ამოვსწოვო იქიდან ნოყიერი წვენი. ჩემზე არ იზდება ფოთლები და ყვავილები, არ მწიფდება რაიმე ნაყოფი; ჩემს გარშემო არ ხარობს ნორჩი შიშალები. მე არც მწუხარებას განვიცითი და არც სიხარულს, მე ცოტას ვფიქრობ, მხოლოდ გამოურკვეველათ ვოცნებობ... მე დაუსრულებელ მოწყენილობას ვეძლევი და ძლივს ვამჩნევ, რაც ჩემს გარშემო ხდება, ყოველივე სულელურია, ყოველივე ფუჭი და ამაოა. მე სიხარულით შეგენაცვალებოდი შენ და თვით ერთწლოვან ასისთავასაც კი. **თქვენ** ცოტა რასმე მაინც გრძნობთ, მე კი— არაფერს“...

ამ დროს მუხაზე მჯდომი ყორნის ჩხავილი გაისმა. „ზაინდეთ იქითკენ“, მიუბრუნდა ის მოლაპარაკე კლდეს, მუხასა და ყვავილს, და შეახედა მათ ველზე მოჩუხჩუხე ნაკადული.

წყლის სარკისებურ ზედაპირზე ღრუბელივით ირეოდენ უთვალავი პაწაწკინა ფრთიანი არსებანი. მს იყო ერთდღიანი მუმლის გუნდი, რომელიც ეს-ეს იყო, ახლა გაჩენილიყო ქვეყნათ. ისინი ისწორებდნენ სათუთს, გამჭვირვალე ფრთებს და ხარბათ სუნთქავდნენ წმინდა ჰაერს, და ამავე დროს თავისი პაწია ტანითაც



მზის ცხოველმყოფელ სხივებში ბანაობდნენ. სინათლითა და სითბოთი დამთვრალნი, ისინი მთელი თავისი არსებით განიცთოდნენ სიცოცხლის ნეტარებას და იმ სურვილით გატაცებულნი, რომ უფრო ნათლათ გამოეხატათ თავისი აღტაცება, — იმათ იწყეს ჰაერში მხიარული ცეკვა და თავბრუდამხვევი ტრიალი; ისინი დაქრდნენ ცალცალკე, წყვილებათ და ჯგუფჯგუფათ; ხან შეერთდებოდნენ, ხან კი ისევ განშორდებოდნენ ერთმანეთს, ცქრილობდნენ მზის სხივებში და ბრჭყვინავდნენ თავისი პაწია ფრთებით. მათი პაწაწკინა თვალები სიხარულით ეღვარებდა. მათ ბუთილში კი სრული ბედნიერება იხატებოდა.

ისინი არ გრძნობდნენ არც შიმშილსა და არც წყურვილს: ჰაერი და მზის სინათლე ყოველმხრივ აკმაყოფილებდა მათ. ისინი არ ფიქრობდნენ იმაზე, თუ რა იყო მათ გაჩენამდი და არც იმის განსჯაში შედიოდნენ, თუ რა იქნებოდა მათს შემდეგ. ისინი ცხოვრობდნენ მყოფადით და ბედნიერიც იყვნენ. ამავე დროს კი მზემ აიწია და თანდათან ზევით, ნელნელა დასავლეთისკენ იწყო გადახრა. მაგრამ მუმლი ამას ვერ ამჩნევდა; ის უდარდელათ განაგრძობდა ცეკვობას და სრული თავდავიწყებით ეძლეოდა მხიარული გულის განწყობილებას, ვიდრე ველს საღამოს ჩრდილი არ გადაეფარა. მაშინ კი მათი სიცოცხლიანობა იცვალა სასიამოვნო დაღლილობითა და სისუსტით, და საჭიროც შეიქნა დასვენება. მათ შეიკეცეს მოქანცული ფრთები და წყნარათ დაეშვენ წყლის ზედაპირზე...

ამ დღის სიცოცხლისა და სიხარულის მშვენიერებანი, რომლებითაც სავსე იყო მათი პაწია თავები, თანდათან დაიშალენ და გაქრენ.

მუმლი, როგორც მთელი დღე ნარბენი ბავში ტკბილ ძილს მიეცა, მაგრამ მას არ ეძინა — ის მკვდარი იყო. როდესაც მათი პაწაწა ტანი წყალმა დაფარა, ბრძენმა ყორანმა წარმოსთქვა: „დიდხანს იცოცხლებ თუ პატარა ხანს საქმე ამაში კი არ არის. იცხოვრე ლამაზათ, აი რაშია ბედნიერება“...

ს. ჩიხლაძე.

## ქართული ინტელიგენცია და მეაბრეშუმეობა.

მეაბრეშუმეობას დრომ, გარემოებამ ღ ცხოვრების პირობებმა თვალსაჩინო ალაგი დააქერია მეურნეობაში. ღღეს ქართველი გლეხის (ზურისა, იმერეთსა და მდღიშში) ერთ-ერთ კარგ შემოსავლიან წყაროს მეაბრეშუმეობა შეადგენს. ხშირათ გლეხს იმდენი სარგებლობა მიწის მუშაობიდანაც კი არ ეძლევა, რამდენიც — მეაბრეშუმეობიდან. კრიზისმა ძალზე დიდი მნიშვნელობა მისცა ამ მეურნეობის დროს. მეაბრეშუმეობის საქმე რომ რაციონალურათ იყოს მოწყობილი და ხალხმა აბრეშუმის ქიის კარგი მოვლა იცოდეს, ბევრათ მეტ სარგებლობას მოიტანდა ვიდრე ღღეს მოაქვს. ხალხი დიდი ხანია მისდევს მეაბრეშუმეობას და ჯერაც არ იცის რიგიანათ მისი გაძლოლა. აბრეშუმეი წახთება, და ამას სოფელში გათვალს აწერენ: „წყეულმა ამან და ამან ხარბმა, არამი თვალისამ, ქიას დამიხედა და რა ხერს იზამდა, —“ ლაპარაკობს ქალი ქიის წახთენას შემდეგ. სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს. რაც ხანი გადის, მით უფრო იწეება მეაბრეშუმეობის საქმე და მით უფრო კლებულობს მოსავალი პარკისა. წინათ ექვს მისხალ თესლზე თუ 3—4 ფუთ პარკს იწევდენ, ახლა ასეთი მოსავალი იშვიათია. ამ საქმეს დროზე უნდა მიექცეს ყურადღება. ჩვენი ხალხი ვერ გრძნობს, ვერ ხედავს პარკის მოუსავლობის გამომწვევ მიზეზებს. არ იცის, რა უშველოს საქმეს, არ იცის რა ღონისძიება მიიღოს, რომ ქია არ წაუხთეს. მართველ ინტელიგენციას დიდათ არ აფიქრებს უნუგეშო მდგომარეობა ამ მეურნეობის დარგისა. შოველი ინტელიგენციის ზნობრივ მოვალეობას შეადგენს თუ ესმის მას ეს მოვალეობა, მეაბრეშუმეობის აყვავებასა ღ გავრცელებას ხელი შეუწყოს. ამ მიზნით მან უნდა გაუმართოს ხალხს საუბარა მეაბრეშუმეობაზე, უნდა წაუკითხოს წიგნები ამ მეურნეობის დარგიდან, უნდა გაუკვლიოს გზა, თუ თესლი ვისგან, ან რა დროს შეიძინოს. მფარველობასა ღ პატრონობას უნდა უწევდეს აგრეთვე პარკის გაყიდვის დროს. ნაკლები სიტყვები, მეტი საქმე, ცოტა ფანტაზია, ოცნება, მეტი სიყვარული საქმისადმი...

პროვინციელი მკითხველი.



## თ. ოტია დადიანის წერილი.

მართულ გაზეთებში დაბეჭდილი იყო ეპისკოპოზი ლეონიდის წერილები. ამ წერილებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში და ამისათვის უმორჩილესათ ვსთხოვ ბ. რედაქტორს დაუთმოს „ქოლხიდაში“ ადგილი ამ ჩემს განმარტებას.

შოვლადსადგედლო ეპისკოპოზი ლეონიდე მის წერილებში დამბეზღებელს მედახის და მასთან ვრცლათ აღნიშნავს მრავალ სხვა გარემოებას, რომელსაც მხარს უჭერენ ბევრი სხვა ავტორები და უკანასკნელნიც საზიზღრობას უწოდებენ ჩემს მოქმედებას. შოველივე ეს მაწუხებს და მაწუხებს მისთვის, რომ ნამდვილათ არაფერი მაგის მზგავსი არ მომხთარა ჩემის მხრით. ნახარებოვოს მონასტრის საქმის შინაარსს რომ მოვყვე და ვრცლათ ვილაპარაკო ამაზე—შორს წამიყვანს და ეს ჩემთვის შეუძლებელია ფიზიკურათ, როგორც მოხუცისა და ავთამყოფი კაცისათვის, მხოლოდ ვიტყვი იმას, რომ ჩემი ლაპარაკი სრულიად არ შეეხება ანტონ ზყონდიდელს I-ს, არამედ შეეხება ზყონდიდელ ანტონს II-ს, რომელიც ჩემი კვიდრი ბიძა იყო და აღმზღელიც. პირველათ სწავლა მან დამაწყებია ნახარებოვოს მონასტერში და თუ ამ მონასტრის შესახებ ვინმე ღვდელთავანს და არა მთავრობას, ორიოდ სიტყვა მივსწერე,—მე არა მგონია, — დიდი დანაშაულობა იყოს.

შინდა განსაკუთრებით ავუხსნა საზოგადოებას თვით შემთხვევა ჩემს მიერ საჩივარზე ხელის მოწერისა, — რომლით შესაძლოა საზოგადოებამ მე არ გამამართლოს, მაგრამ ზნეობრივათ მე ჩემს თავს არა ვრაცხ დამნაშავეთ და, აი, რისთვის.

პატივცემულ საზოგადოებას მოეხსენება, რომ მე ვარ მოხუცებული და თან ავთამყოფი კაცი, რის გამოც უფრო მეტი ხანი ჩემი ცხოვრებისა ლოგინათ ვარ. ზასულ 1911 წელს, თვე და რიცხვი არ მახსოვს, შემომიტანეს ამბავი, რომ ჩემს სანახავათ არის მოსული ვილაც ბერი და სურს პირადათ მნახოს. თუმცა ჩემთვის საძნელო იყო ავთამყოფობის დროს სა-

წოლს ოთახში მიმედლო, მაგრამ ბერის მეტის-მეტმა სურვილმა დამათანხმა და მივიღე. მიაშბო, რომ ლეონიდე ეპისკოპოზი თქვენ მონასტერს გართმევთო, არა მაქვს დაწერილი, რომელზეც ყველა თქვენმა მონაწილეებმა ხელი მოაწერა და თქვენც მოაწერეთო. თუმცა ვუპასუხე, თვითონ შევეკითხები ეპისკოპოზს-მეთქი, მაგრამ შემდეგში ბერის დაჟინებითმა მოთხოვნილებამ მაიძულა გამომერთმია დაწერილი საჩივარი, ხოლო საჩივრის წაკითხვა სისუსტის გამო ვერ შევიძელი და ბერმა თვითონ მიჩვენა ბოლოს ხელმოწერილი: ჩემი ძმის თ-ის ივანე დადიანისა, ბრიგოლ დადიანისა და ჩემი ძმისწულის ნიკოლოზ (პოკი) დადიანისა. იმ მოსაზრებით, რომ უკანასკნელი ხელის მოწერით გაითვალისწინებდენ ადრე საქირო სიფთხილეს,—მეც ხელი მოვაწერე ჩემთვის მათ მიერ საგანგებოთ დატოვებულ ადგილზე და ამგვარათ ბერი მოვიშორე. სრულებით არ წამიკითხავს საჩივარი და არც შემეძლო, როგორც ზემოთ მოვახსენეთ წაკითხვა სისუსტისა გამო.

ამ საგანზე მქონდა თითქმის უკმაყოფილო ლაპარაკიც ჩემს ძმისწულ ნიკოლოზ (პოკი) დადიანთან, რომელმაც კერძო საუბარში დანამდვილებით მითხრა, რომ საჩივარი თითქმის მის რედაქციას ქვეშ შედგენილა, ვინაიდან პირველჯერ ბერის მიერ მასთან ხელმოსაწერათ მოტანილი საჩივარი, ამ ახლანდელზე უფრო მწვავეთ ყოფილიყო შემდგარი და ის, მისი აზრით არაფერ საწინააღმდეგოს არ ხედავს ამ საჩივრით, თვინიერ ჩვეულებრივი განსაჩივრებისა ამა, თუ იმ მთავრობის პირის განკარგულებისა.

ამ პირობებში, მგონია, არ არის სამართლიანი ყ-ს ეპისკოპოზი ლეონიდის მხრით მარტო ჩემთან გამოდავება და მთელი მონაწილეობის მიმღები გვაროვნობის გარეშე დატოვება, მით უმეტეს, რომ გაცხადებული საჩივარი ღებულობს დასაწყისს არა ჩემგან, არამედ სრულებით იმ პირებისაგან, რომლებიც ყ-ს ლეონიდმა დასტოვა კითხვის გარეშე და



მარტო მე, სრულიად უდანაშაულო,  
მოხუცი და ავთომყოფი კაცი ამილო ნი-  
შანში.

მისკობოზი ლეონიდე თავის წერილ-  
ში ჩემდამი, სხვათა შორის, მწერს—ვი-  
ნემ დასაბეზღებელ საჩივარზე ხელს მო-  
აწერდით, შემეკითხებოდითო. მე კი ვიტ-  
ყოდი—ვინემ ყ-ს ლეონიდე აღძრავდა  
შვამდგომლობას ნახარებოვოს მონასტ-  
რის სამრევლო ეკლესიათ გადაქმნაზე,—  
უფრო სამართლიანი იქნებოდა თვითონ  
პირველ შეეკითხა საგვარეულოსთვის, რომ  
საქმე თავიდან ყოფილიყო დაქერილი და  
ამდენ არა სასურველ შედეგს არ ქონო-  
და ადგილი; მაშინ ნათლათ დაინახავდა  
მთელი საზოგადოება, თუ რამდენათ  
მხარს დაუჭერდა ჩვენი გვარეულობა  
მწყესთმთავრის სურვილს და დააფასებ-  
და მას.

თავის ღღეში არ მივცემდი ჩემს თავს  
ნებას ამდენი უკმაყოფილება შემემთხვია  
მათთვის როგორც ქეშმარიტი მორწმუ-  
ნე და მოხუცებული კაცი, განსაკუთრე-  
ბული დაფასებით და პატივისცემით ვი-  
გულვებდი ყველა მათს წინამოადგილე-  
ებს, მიუხედავად ნათესაობისა, რომელი  
აზრითაც ვარ ახლაც შესახებ ყ-ს ლეო-  
ნიდეს მიმართ და ვიქმნები ვიდრე საფ-  
ლავის კარამდი.

პატივისცემით თავადი

ოტია ელიზბარის ძე დადინი.

7 მარტი, 1912 წ.

## ვაი ლოთებს!..

(ხალხურ კილოზე)

მრთს უდაბურ მთა ადგილას  
იღვა დიდი მონასტერი;  
იქ ცხოვრობდა განდევილი—  
რამდენიმე წმინდა ბერი...  
შედარებით სხვა ბერებთან  
მრთი უფრო ლოკულობდა,—  
მთელი ხალხი მას აქებდა  
და იმის მზეს ფიცულობდა...  
აქიმობდა ავთომყოფებს,  
დადიოდა ხშირათ სოფლათ,—  
ქველგან კარი ღია იყო,  
არ სტოვებდა არვის ობლათ.

წამალს მუქთად არიგებდა,  
შრომას ფულზე არა სცვლიდა...  
რამდენი მას მოერჩინა,  
კაცი იმას ვერ დასთვლიდა...  
რომ შეიტყო ეშმაკუნამ,  
შურით გული უსკდებოდა...  
სააქიმოთ წავიდოდა,—  
ეშმაკი წინ უხვდებოდა:—  
„მარხულობას რას დაეძებ,  
რათ აწუხებ ტყვილა სხეულს?  
ბირჩვენია, დამიჯერე,  
ნუ მეძახი ეშმაკ-წყეულს“...  
წმინდა ბერი სალოცავათ  
სასოებით დადგებოდა;—  
ეშმაკუნა საცთუნებლათ  
იქვე გვერდით გაჩნდებოდა...  
ეშმაკუნამ წმინდა ბერი—  
არ იქნა ვერ შევაცთინა,  
ჩაუარა მუქთად შრომამ,  
თავი ტყვილა შეირცხვინა.  
ბებერ ეშმაკს ახალგაზდამ  
მოხსენება წარუდგინა:—  
— არ იქნა, ვერ შევაცთინე,  
ქოველივე ცთამ მიმტყუნა...  
ეს მითხარი, სხვა ბერები  
სულ ყველანი ხომ ჩვენია?  
— შეუმცთარი, გეფიცები,  
მის მეტი არ დამრჩენია.  
შენ ჯერ კიდევ ყმაწვილი ხარ,  
მეც ბებერი, ისიც ბერი...  
თუ იგი ვერ შევაცთინე,  
მე შემირცხვეს უღვაშ-წვერი!...

ესა სთქვა—და ზეზე ადგა,  
მიაშურა წმინდა ბერსა...  
რაც რომ იმან მას დამართა,  
იმისთანა თქვენსა მტერსა...  
— თუ გინდა, რომ აღარ განახო,  
განდევილო, წმინდა ბერო,  
ცოტა რამის მთხოვნელი ვარ,  
ბთხოვ ეს რჩევა დამიჯერო...  
თუ ამ სიტყვას აასრულებ,  
მე ავიღებ შენზე ხელსა,—  
ჩვენ ჩვენს ბინას მოვიძებნით,  
მივაშურებთ შავ ქვესკნელსა.  
(ბერმა გულში გაიფიქრა:  
სულ ყოველთვის შეწუხებას—  
სჯობს, რომ ერთი დაუფჯერო,  
მივყვე წყეულს იმის ნებას).



— ავასრულებ მე შენს რჩევას,  
ბეფიცები, ვით ბერიო...

მშაჰმა სთქვა: ერთჯერ მხოლოდ  
შგრძნობელათ დათვერიო.  
მოუტანა დოქით ღვინო...  
მრთი წამიც არ აცალა:  
ბერმა ყანწი დაიჭირა,  
ღიდი დოქი გამოსცალა...  
ადგა ბერი ბანცალითა,  
სოფლისაკენ გაეშურა...  
ჭული კი შინ დარჩენოდა,  
თავზე ველარ დაეხურა.  
შარა გზაზე მიდის ბერი,—  
წინ დაუხვდა პატარძალი:—  
„ში, ეს რა დაგმართია,  
მე დამიდგა ორივ თვალი!..“  
ბერი სახლში შეიყვანა...  
პატარძალს სწვდა და აკოცა!..  
ასეთ თავხედურმა ქცევამ  
მასპინძელი გააოცა...

ვანო ჭიჭინაძე

## გ ა ს ა რ თ ო ბ ი.

(თარგმანი).

მღკის სასამართლოში ასამართლებენ  
ებრაელს მავნებელი წამლის შეზავების-  
თვის.

**დამნაშავე.** ბ-ნო თავჯდომარე! მე მე-  
კითხება რამე ამ საქმის გამოსაკვლევათ?

**თავჯდომარე.** რატომ არა...

**დამნაშავე.** ღიდათ გმადლობთ. აი, რა  
ბ-ნო თავჯდომარე, უფლებას ვაძლევ  
ჩემს თავს გკითხოთ:—თქვენ კანონი  
იციით?

**თავჯდომარე.** მე მგონია... რაკი  
თავჯდომარეობ სასამართლოში...

**დამნაშავე.** ძიმიისა იციით რამ ბ-ნო  
თავჯდომარე?

**თავჯდომარე.** არა, მაგრამ ქიმიური  
კითხვების გასარჩევათ გამოწვეულია ექს-  
პერტი, მაგისტრი ძიმიის.

**დამნაშავე.** შემძლია მასაც ერთი  
რამ ვკითხო?

**თავჯდომარე.** შეგიძლიათ.

**დამნაშავე.** გმადლობთ... უკაცრავათ  
ბ-ნო, თქვენ ქიმია იციით?

**ექსპერტი.** ვიცი...

**დამნაშავე.** ძანონები იციით?

**ექსპერტი.** არა, ეს ჩემი ხელობა არ  
არის.

**დამნაშავე.** ძარგი და პატროსანი, ახლა  
თქვენ, ბ-ნო თავჯდომარე, კანონი იციით,  
ქიმია—არა; ბ-ნმა ქიმიკოსმა ქიმია იცის,  
კანონი კი არა. ჩემგან, საწყალი ებრაე-  
ლისგან კი თხოულობთ რომ კანონიც  
ვიცოდე და ქიმიაც; კანონიერია ეს!?

ჩიკორტელა.

## ლანჩხუთიდან—წერილი კვირიკესთან.

ძმაო ძვირიკე! სტანციაზე მივდიოდი,  
რომ ამ დროს ხმაურობა შემომესმა ქალ-  
თა შკოლის შენობიდან. ვიღამაც ხელი  
დამიქნია—მოდით და მეც ქე მივბანდი.  
შევადე ოთახის კარები, შევედი ში შუა  
ოთახში. შევედი, რა დენახა ჩემმა თვა-  
ლებმა. ღიდა და ფსხვილ ადამიანებს,  
რაც კია ლანჩხუთში, ყველას აქ მეყარა  
თავი. ბევიგე რომ აქ დღესო შხანკოლა-  
სა და განათლებულ ხალხს შორის, „ტრი-  
ტისკი სუდია“, თუ რაცღა ჯანდაბაო.  
შერ წარმიდგენ, ძვირიკე ჩემო, რა აღ-  
ტაცებაში შევედი, როცა სულიერ მამას  
დამცველის როლში შევხვდე. ლაპარი-  
კობდა, მაგრამ რას ლაპარიკობდა. ამის-  
თანა ორარიანი ორატორი მეორე ჩემს  
თვალებს არ მოსწრებია. ტაგივეს და  
მაკლაკოვი რათ უნდოდა,—ამის ამბავი  
რო ცოდნოდა. ლანჩხუთში ხმა დადიო-  
და—სულიერი მამა კარტველ კალებს  
კარტს ეთამაშებო. თურმე ტყუილი ყო-  
ფილა ეს ამბავი.

მართალიც რო იყოს, მე მაინც ვერ  
გავბედავდი თქმას, იმიტომ რომე ერთი  
მისთანა ურევია იმ კარტველ კალებში,  
რომ სულიც რო შემიბეროს, მე მეტი  
აღარ დავრჩები.

იმან სუდის დროსაც დიდი გავლენა  
მოახდინა მოწვევებზე...

შველა კანკალობდა. მართმა უჩიტელ-  
მა ისიც კი სთქვა ჩემი ცოლი და ორი  
მასწავლებელი ქალი, მარტო დურაჩკო-  
ბიას თამაშობდნო. ტუზიო, კოზირიო  
და ფაიკა რაია, არც ქე იციანო.

მას კი გოუწყრეს ძვირიკეს მადლი,  
რამდენი მას ვერტუშკა, ტრილისტა და



მისთანები უთამაშია ქალებთან. მრთი  
ყმაწვილიც ძაან ნამეტანს ფოფხურობდა.  
თურმე, ნუ იტყვი, რაცხა ხრუკის სული  
ყოფილა და მიტომ ეწვოდა კუკი.

მუჯიკი.

## ლ ე ჩ ხ უ მ ი .

ლექსუმი სწავლა-განათლების მხრით  
ძალიან ჩამორჩენილი ქვეყანაა. ლექსუ-  
მის ერთადერთ განმანათლებელ დაწესე-  
ბულებას შეადგენს ერთ კლასიანი სამი-  
ნისტრო და სამრევლო სკოლები და აქა  
იქ ორ-კლასიანიც, უმეტეს ნაწილათ მო-  
უშაადებელი მასწავლებლით. საშუალო  
სასწავლებლებში მაინც კურს დამთავრე-  
ბულ მასწავლებელს აქ ძალიან იშვიათად  
შეხვდებით, რის გამოც სწავლების საქმე  
აქაურ სკოლებში ძალიან სუსტათაა და-  
ყენებული.

როგორც იქნა, ლექსუმს ეღირსა სა-  
მოქალაქო სასწავლებელი 1872 წლის  
გვემით. სასწავლებელში მეცადინეობა  
დაიწყო I სექტემბრიდან დ. ცაგერში.  
მთავრობამ მოსთხოვა მასწავლელს განჩინება,  
თუ სადა სურთ სკოლის აშენება. აქაც  
კიდევ იჩინა თავი პირადმა ინტერესებმა  
და გაუტანლობამ; ცაგერლებს—ცაგერს  
უნდათ, ორბელებს—ორბელს, ლაილა-  
შლებს—ლაილას და სხვა.

ამის გამო ჯერჯერობით გამოურკვევე-  
ლია, თუ სად უნდა დაარსდეს სასწავლე-  
ბელი. სასურველია, ლექსუმლებმა ამ საქ-  
მეში მაინც დაივიწყონ პირადი ინტერე-  
სები და დაარსონ სასწავლებელი იქ, სა-  
დაც ეს უფრო მოსახერხებელი და სა-  
სარგებლო იქნება მთელი მაზრისათვის.

მრიოდე სიტყვა ცაგერის ფოშტის  
განყოფილებაში მოსამსახურე პირთა შე-  
სახებ. შევლამ კარგათ იცის, როგორი  
გულის ფანჯკალით მოელის ფოშტას  
საწყალი სოფლის ინტელიგენტი, რომელ-  
საც ბედმა არგუნა მიყრუებულ სოფელში  
ცხოვრება და მუშაობა. მრთადერთი  
მისი სულისკვეთება და მეგობარი არის  
გაზეთი და წიგნები, რომელიც ფოშტით  
უნდა მიიღოს. მიუხედავთ იმისა, რომ  
ჭუთაისიდან ცაგერს ორჯერ მოდის კვი-  
რაში, გაზეთები ორჯერ—კვირაში

კი არა, თვეში ერთხელ თუ მიიღო, სად-  
ლობა უნდა გადაუხადოს ლმერთს, ვინც  
ცოტა მოშორებით სცხოვრობს ცაგერი-  
დან, თუმცა კვირაში ორჯერ დაიარებიან  
„იასაულები“ გაზეთებისა და წერილების  
მოსატანათ. ის გაზეთებიც, რომლის მი-  
ლებასაც ეღირსება, დაჯღაბნილი და  
დასვრილია.

კ. ალავერდელი.

## ქრისტე აღსდგა!

მრთშაბათია-ბულბულმა  
ჩანგი მომართა, დაკვესა,  
მოქარგა ძილის პირები,  
მძივათ აასხა, ჩაკვესა.

სმენის დამტკობი ჰანგები  
ჩაკრიმანქულ—აქრელა,  
ხმებს ახვევს ათასნაირათ,  
ოქროს ძაფებით ჩაქსელა.

მანთიადია, ისწრაფის  
მარიამ მაგდალინელი,  
თინ შიაქეს ჭრისტეს საფლავზე  
სურნელი, ნელსაცხებელი...

სადლაა ლოდი საფლავზე?!  
საფლავი ცალიერია!  
აღსდგა ქრისტეო, — ღალადებს  
ღვთიეკმნილი ყველაფერია...

აღსდგა ჭრისტე და განქარდა  
სულთამხუთავი წყვდიადი,  
ჩაძერა ქვესკნელში ბოროტი,  
ზე აღსდგა მადლი დიადი!...

ღაირღვა ძალა მჩავგრეტოთ,  
ბაწყდა მონობის ჭაპანი,  
ძრწის ბელზებელი, დაინგრა  
მისგან ნაშენი საკანი!..

ჭრისტე აღსდგაო, ბულბულმაც  
ჩაკრიმანქულ—აქრელა,  
ძილისპირები მოქარგა,  
ოქროს ძაფებით ჩაქსელა.

რ. საჯავახოელი.

გამომცემელი  
სვეერიან ბახტაძე.

